სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/53

ქ. თბილისი 29 აპრილი 2026 წ.

სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სიტემების ფაკულტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ვირტუალური კომპიუტერული ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის სახელწოდების და დებულების ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის N 01-05-02/08 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეეცვალოს დასახელება სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სიტემების ფაკულტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედ ვირტუალური კომპიუტერული ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს და ეწოდოს ტექნოლოგიური პროცესების მართვისა და მონიტორინგის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი.

2. მოწონებული იქნეს ტექნოლოგიური პროცესების მართვისა და მონიტორინგის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დებულება.

3. დადგენილებით გათვალისწინებული საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**